მასტერკლასი „ახალი ბიზნეს იდეები და ტენდენციები“

2019 წლის 11 აპრილს „მეტი დეველოპმენტმა“ სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ჩაატარეს მასტერკლასი „ახალი ბიზნეს იდეები და ტენდენციები“. მასტერკლასი ჩაატარეს მეტი დეველოპმენტის სპეციალური მოწვევით: ნიდერლანდელმა არქიტექტორებმა ბერენდ ვან ეგმონდი, მეც. მაგისტრი და ემილია ვან ეგმონდი, მეცნ. დოქტორი.

მასტერკლასის ბოლოს სტუდენტებს გადეცათ სერთიფიკატები.

დიდი მადლობა ორგანიზატორს „მეტი დეველოპმენტს“ და იდეის ავტორს „იოტა დიზაინს“

მასტერკლასის თემები:

1. საოფისე შენობების ტენდენციები და უახლესი მოვლენები

* ორგანიზაციაზე და მის მიზნებზე დაფუძნებული სტრატეგიული კეთილმოწყობის ხედვის შექმნა, რომელიც ითვალისწინებს ფუნქციონალურობას, ეფექტიანობას და მომხმარებლის მოთხოვნებს;

* ოფისების კონცეფციები და მოქნილი სამუშაო ადგილები;

* სივრცის დაგეგმარება, დიზაინი, ერგონომიკა;

* მრავალფუნქციური სივრცეების ტექნიკური მოთხოვნები (იატაკის ტვირთგამძლეობა, აკუსტიკა, ვენტილაცია, განათება, სახანძრო უსაფრთხოება, და ა.შ.);

* ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები (ICT) და ციფრული კომუნიკაცია / საპრეზენტაციო მოთხოვნები.

2. ინოვაცია და მდგრადი შენობების მშენებლობა

* სოციალურ ეკონომიკური ასპექტები;

* სამი P-ს პრინციპი: „People - Planet - Profit“ - ადამიანები - პლანეტა - მოგება;

* ინოვაციური მასალების მაგალითები;

* ინოვაციური შენობების ფასადები;

* ენერგო ეფექტურობა და შიდა კომფორტი; კლიმატი, ტემპერატურა, ვენტილაცია;

* ინოვაციური პროექტის აღსრულება; ინდუსტრიალიზებული & ჭკვიანი შენობა.

ბერენდ ვან ეგმონდი



დაიბადა 1947 წელს ქალაქ დელფტში, ნიდერლანდები

დაამთავრა დელფტის ტექნიკური უნივერსიტეტი, არქიტექტურასა და სამშენებლო ინჟინერიაში;

მოქმედი არქიტექტორი ნიდერლანდებში, განასა და ინდონეზიაში;

მარკეტინგის მენეჯერი კომპანიაში „Philips Lighting International“;

კომპანია Maars-ის გენერალური მენეჯერი. კომპანია აწარმოებს ჭერის სისტემებს, მოძრავ ტიხრებს და განათების სისტემებს;

კომპანია „VEG Interior Building Systems BV“-ის მფლობელი და აღმასრულებელი დირექტორი. კონსულტანტი საცხოვრებელი ფართების კონცეფციების, უძრავი ქონების მენეჯმენტის, ობიექტის მენეჯმენტისა და ინტერიერის არქიტექტურის საკითხებში;

მოქმედი ბიზნეს მრჩეველი, რწმუნებული, უნივერსიტეტის ლექტორი;

კონსულტანტი მოხალისეთა ორგანიზაციაში „PUM Netherlands Senior Experts“ (PUM ნიდერლანდების უფროსი ექსპერტები).

ემილია ვან ეგმონდი, მეცნ. დოქტორი

დაიბადა 1948 წელს

დაამთავრა დელფტის ტექნიკური უნივერსიტეტი, ნიდერლანდები. მეცნიერებათა მაგისტრი არქიტექტურასა და სამშენებლო ინჟინერიაში;

მოქმედი არქიტექტორი ნიდერლანდებში, განასა და ინდონეზიაში;

მეცნიერებათა დოქტორი დელფტში, ტექნოლოგიის მენეჯმენტი, ინოვაციები და მდგრადობა შენობების მშენებლობაში 1999 წლიდან;

მკვლევარი და ლექტორი ეინდჰოვენის ტექნიკურ უნივერსიტეტში, ნიდერლანდები;

უნივერსიტეტებს შორის შუამავალი ინდონეზიის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში;

კონსულტანტი მოხალისეთა ორგანიზაციაში „PUM Netherlands Senior Experts“ (PUM ნიდერლანდების უფროსი ექსპერტები).

ორგანიზატორი „მეტი დეველოპმენტი“ და იდეის ავტორი „იოტა დიზაინი“

www.meti.ge

Sustainabl
Constructio
Innovative solutio
Energy, materials & buildi
for
Sustainability
Clients, Environment & Co